შეთანხმება №1

სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს ,,ახალი ყავის კომპანია"-ს შორის 2017 წლის 18 აპრილს გაფორმებული №14 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე

თბილისი „12" ივნისი 2017 წელი

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახური,** წარმოდგენილი მისი საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ბაჩა მგელაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ **შპს „ ახალი ყავის კომპანია",** წარმოდგენილი მისი დირექტორის ირინე უჩანეიშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),

ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო აუდიტის სამსახურასა და შპს „ ახალი ყავის კომპანია"-ს შორის 2017 წლის 18 აპრილს გაფორმებული №14 ხელშეკრულების მე-16 პუნქტის შესაბამისად,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეწყდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „ ახალი ყავის კომპანია"-ს 2017 წლის 18 აპრილს გაფორმებული №14 ხელშეკრულება.
2. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტით მხარეებს არ ადგებათ ზიანი და ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „ ახალი ყავის კომპანია"-ს შორის 2017 წლის 18 აპრილს გაფორმებული №14 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შეთანხმების თითოეული ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ბაჩა მგელაძე	**ირინე უჩანეიშვილი**
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

ახალი ყავის კომპანია

თბილისი

2017 წელი 09 ივნისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

საფინანსო და ლოჯისტიკის

დეპარტამენტის უფროსს

ბატონ ბაჩა მგელაძეს

ბატონო ბაჩა,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 01 მაისიდან შპს „თელიანი თრეიდინგი" ახორციელებს „ახალი ყავის კომპანიის" პორტფელში არსებული პროდუქტების ექსკლუზიურ დისტრიბუციას საქართველოს ბაზარზე. ხოლო, პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული აპარატურის სერვისის/იჯარის მომსახურებას განახორციელებს შპს „ახალი ყავის კომპანია". აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, რომ შეწყვიტოთ ხელშეკრულება №14.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის „თელიანი ჯგუფი"-ს სახელით.

შპს „ახალი ყავის კომპანია"
დირექტორი
ირინე უჩანეიშვილი

შპს "ახალი ყავის კომპანია" * NEW COFFEE COMPANY LTD * 205288099